

ნანა შავთვალაძესაქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველოNana_shavtvaladze@yahoo.com<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.78>

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების C1 დონისთვის საჭირო მოთხოვნები და აღწერილობა

საკვანძო სიტყვები: ქართული როგორც უცხო ენა, ენის სწავლება

ენის, როგორც უცხო ენის შესწავლის ფუნქცია მთელ მსოფლიოში აქტუალურია, რადგან მოთხოვნა და სურვილი უდიდესია. შემსწავლელი როდესაც უკვე C 1 დონეზე გადადის, ენობრივად უკვე თითქმის ყველა საკითხი დამძლეული აქვს. მას შეუძლია შედარებით მაღალ დონეზე კომუნიკაცია, საუბრის გაგება, როდესაც ელაპარაკებიან გარკვევით ყოველდღიურ საკითხებზე, თუმცა ზოგ შემთხვევაში მან შეიძლება სთხოვოს მოსაუბრეს ნათქვამის დაზუსტება ან ამა თუ იმ სიტყვის განმარტება. შემსწავლელს შეუძლია სრულყოფილად გაიგოს ისეთი ტექსტი, რომელიც შეიცავს ფაქტობრივ მასალას მისთვის საინტერესო თემაზე. მას შეუძლია წინასწარი მომზადების გარეშე ჩაერთოს ისეთ საუბარში, რომელიც ყოველდღიურობის თემებსა და მისი პირადი ინტერესის სფეროს ეხება და და გამოთქვას საკუთარი აზრი.

თუ უკვე შემსწავლელი არ სჭირდება ინფორმაციის ჩანიშვნა საუბრისას და თანმიმდევრულად აყალიბებს წერილობით საკუთარ აზრს, ეცნობა სტატიებს, თუ უმეტესი კონსტრუქცია მისთვის გასაგებია, მაშინ ის მზადაა დაიწყოს და შეისწავლოს C1 დონე. აღარ ვორჭოფობთ, რომ ოთხი უნარია განმაპირობებელი ენის სრულყოფილად შესასწავლად; ამ ოთხი უნარიდან C 1 დონეზე სწავლებისას უპირატესია სამეცნიერო და სალიტერატურო ტექსტის გაგება-ანალიზი, საკუთარი აზრის წერილობით ჩამოყალიბება.

ენათა დონეები, როგორც ვიცით, ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR-Common European Framework Reference) მიხედვითაა დადგენილი. ენების შედარებისას საკითხი დგება, არის თუ არა ერთი და იგივე მიმართება ამ შესასწავლ დონეზე და თუ არა - რა განსხვავებაა. რა თქმა უნდა, უფრო იოლად მიდის საქმე, როცა ლათინური ენიდან შექმნილ ენებზეა საუბარი. კონსტრუქცია ერთი არ არის, მაგრამ მსგავსია. სულ სხვაა სიტუაცია სლავურ ენებსა და იბერიულ-კავკასიურ ენათა ჯგუფთა შემავალ ენებში.

ენების საერთო ევროპული ჩარჩოს (CEFR) მიხედვით C 1 დონე უმნიშვნელოვანესი დონეა. შემსწავლელი, რომელიც ამ დონეს ფლობს, დარწმუნებულია ენის ცოდნაში, ესმის ბევრი რამ, კომუნიკაციას ამყარებს, პრობლემას ჭრის, ურთიერთობს, უსმენს ტელერადიოს, თუმცა ყველაზე კარგად მაინც თავად ხვდება, რომ ენის სრულყოფისთვის და დეტალების ზედმიწევნით გასაგებად კიდევ აქვს გზა დარჩენილი.

ამ დონის სტუდენტები ჩვენს საგანმანათლებლო ცენტრში თითქმის არ არსებობს, ერთ-ორ შემსწავლელს თუ ვიპოვით და ესეც ძალიან გვიხარია. ბუნებრივია, ჩვენც,

შემდგენლებსა და მომხმარებლებსაც, გვაინტერესებს ამ გამოცდილების მიღება. გასაგებია, რომ სტუდენტმა C 1 დონეზე დამტკიცებული მოთხოვნების მიხედვით უნდა დააკმაყოფილოს თავისი ცოდნით.

C1 ზღვრული განვითარებული დონეა. ამ დონეზე შემსწავლელს თავისუფლად შეუძლია: კომუნიკაციის დამყარება; ბუნებრივი, ძალდაუტანებელი საუბრის წარმართვა; დაწვრილებით გაგება ყველაფერი იმისა, რასაც სალიტერატურო ენით ეუბნებიან, თუნდაც ქუჩის ხმაური უშლიდეს ხელს ან რაიმე სხვა გარემოება; ესმის სატელევიზიო პროგრამები და ფილმები ზედმეტი ძალისხმევით გარეშე, გრძელი და რთული ფაქტობრივი და ლიტერატურული ტექსტებს, აფასებს და განასხვავებს ენობრივ სასაუბრო სტილს; იგებს სპეციალიზებულ სტატიებს და უფრო გრძელი ტექნიკურ ინსტრუქციებს მაშინაც კი, როდესაც ისინი არ ეხება მის სფეროს. რა თქმა უნდა, ოთხივე უნარი უნდა იყოს შესაბამისად გააქტიურებული. **მოსმენისას** შემსწავლელმა უნდა შეძლოს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით წარმართული სასაუბრო მეტყველების გაგება თავისუფლად და სპონტანურად გამოხატვა საკუთარი თავის გამონათქვამების აშკარა მიზეზის გარეშე; შეუძლია ენა მოქნილად და ეფექტურად გამოიყენოს სოციალურ-პროფესიული მიზნებისთვის და ამავდროულად იყოს ეფექტურად გამოყენება.

წერის თვალსაზრისით შემსწავლელს შესწევს უნარი საკუთარი თავის მკაფიოდ, სტრუქტურირებულად, ვრცლად გამოხატვა ტექსტში. შეუძლია შესაფერისი სტილის შერჩევა სხვადასხვა სფეროსთვის, რთულ საკითხებზე წერილობით კონსტრუქციული მსჯელობა ესესა თუ მოხსენებაში.

გაგებისას შემსწავლელს ესმის გაშლილი, გაფართოებული, არასტრუქტურირებული მეტყველება მაშინაც კი, როდესაც საუბრისას ბევრი რამ მხოლოდ იგულისხმება; შეუძლია ზედმეტი ძალისხმევით გარეშე გაიგოს სატელევიზიო პროგრამები და ფილმები, გრძელი და რთული ფაქტობრივი და ლიტერატურული ტექსტები; აქვს უნარი განასხვავოს აკადემიური წერის სტილი, სპეციალიზებული სტატიები და უფრო გრძელი ტექნიკური ინსტრუქციები, რომლების არ წარმოადგენენ მის სფეროს.

ლაპარაკისას შემსწავლელი თავისუფლად და სპონტანურად იყენებს გამონათქვამებს აშკარა მიზეზის გარეშე; მას შეუძლია წინასწარი მომზადების გარეშე ენის მოქნილად და ეფექტურად გამოყენება სოციალური და პროფესიული მიზნებისთვის; აყალიბებს იდეებს და მოსაზრებებს სიზუსტით, უკავშირებს სხვის მიერ გამოვლენილ იდეებს; აღწერს საგნებს მკაფიოდ, დეტალურად, ინტეგრირებულად, კონკრეტულად და ასკვნის შესაბამისად.

CEFR Global Scale - ზედმიწევნით ადასტურებს ამ სახით ინგლისური ენის C1 დონის კვალიფიკაციას. შემსწავლელმა უნდა გაიგოს გრძელი ტექსტების ფართო სპექტრი და აღიაროს საკითხის მნიშვნელობა; უნდა შეძლოს უმაღლესი საკუთარი თავის, გამონათქვამების თავისუფლად და სპონტანურად გამოხატვა; დაუბრკოლებლად ენის მოქნილად და ეფექტურად გამოყენება სოციალური, აკადემიური და პროფესიული მიზნებისთვის; უნდა შექმნას მკაფიო, კარგად სტრუქტურირებული, თანმიმდევრული, დეტალებით აღჭურვილი ტექსტი რთულ საგნებზე.

ინგლისური ენისთვის მიზნობრივი და სავალდებულოა გრამატიკულ ფორმატში შემდეგი ზღვრის დამღევა, რომ დადასტურდეს ენის შესაფერისი დონე:

- **დროის ფორმები** - გაგება და გამოყენება (perfect continuous, present perfect continuous, past perfect continuous);

- **კავშირებითი კილო - პირობითი წინადადებები** - გაგება და გამოყენება (conditional structures, including the zero, first, second, third, and mixed conditionals);
- **ირიბი თქმა** - მაღალკვალიფიციური მეტყველება (განცხადებების, კითხვების, ბრძანებებისა და მოთხოვნების ზედმიწევნით ზუსტი ანგარიშგება უფრო რთულ კონტექსტში);
- **ვნებითი გვარი** - გაგება და გამოყენება კომპლექსურ და რთულ კონსტრუქციებში;
- **მიმართებითი დამოკიდებული წინადადებები** - გაგება და გამოყენება (დამატებითი ინფორმაციისთვის დამოკიდებული წინადადებების გამოყენება, განუსაზღვრელი დამოკიდებული წინადადებების კონტექსტურად გააქტიურება);
- **გარემოებითი დამოკიდებული წინადადებები** - გაგება და გამოყენება, თავისუფლად კონტექსტში ჩასმა, წერილობითაც და ზეპირმეტყველებაში (დროის, ადგილის, მიზეზის, მიზნის, ვითარების, ზომა-წონის, პირობითი, დათმობითი და ა.შ.);
- **ინვერსია** - გაგება და მრავალმხრივი გამოყენება სხვადასხვა წინადადების სტრუქტურებში (აქცენტის ან ფორმალობისთვის);
- **ემფატიკური სტრუქტურები** - აქცენტებისთვის წინადადებების სხვადასხვა სტრუქტურის გამოყენება;
- **მოდალური ზმნები** - მოდალური ზმნების ნიუანსური გამოყენება სხვადასხვა კონტექსტში ალბათობის, შესაძლებლობის, აუცილებლობისა და ნებართვის გამოსავლენად;
- **მიმღეობა** - მიმღეობით წარმოებული წინადადებების გამოყენების ფართო ველი მრავალფეროვნებაში.
- **გერუნდი და ინფინიტივი** - მათი უფრო კომპლექსურად გამოყენება წინადადებებში.
- **დისკურსის მარკერები** - წერილობით ფორმატსა და მეტყველებაში თანმიმდევრულობისა და ერთიანობის გასაუმჯობესებლად მოწინავე დისკურსის მარკერების გამოყენება.

ასეთივე შედგენილობითა და რიტმით გაწერილია ევროპულ სხვადასხვა ენაში C1 დონის მოთხოვნები. ქართულ ენაში, არ არსებობს სახელმძღვანელო, რომელიც დააკმაყოფილებს ქართულის, როგორც უცხო ენის C1 დონეს. საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან დაქვემდებარებული ქართული ენის სახლს გაწერილი აქვს ქართულის, როგორც უცხო ენის, დონეთა აღწერილობა, სასწავლო რესურსები, ლექსიკონი და სხვ. ენათა ფლობის დონე სრულდება B2+ ზღვრული განვითარებული დონით (www.geofl.ge).

„სემიტა. ენის სკოლას“ აქვს სახელმძღვანელოები ქართულის, როგორც უცხო ენისთვის. თითოეული დონეს მოიცავს - სახელმძღვანელოს, სამუშაო რვეულს საკითხავ მასალას. რა თქმა უნდა, სპეციალურად შექმნილ მოსასმენ მასალას, კერძოდ, A1, A2 და B1 დონეზე. ჩვენ (www.lsgeorgia.com) მზად ვართ შემსწავლელთათვის, ვისაც სურს შეისწავლოს ქართული, როგორც უცხო ენა. გვაქვს სხვადასხვა კურსი - ტრადიციული ქართული, საკომუნიკაციო ქართული, ყოველდღიური ქართული, საყველპურო ქართული. ტრადიციული ქართული წარმოდგენილია კომპლექტურად სერიით „ბილიკი“ დონეების

მიხედვით: A1, A2, B1, B2. დაწერილია C1 -ის დონის სახელმძღვანელო, რომელიც გადის აპრობაციას. უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დონის სტუდენტი სამეზარია, უმეტესობას, არ სურს ქართულის ამ დონეზე შესწავლა. უმრავლესობის მიზნები და მოთხოვნები B1 და B2 დონეზე სრულდება, რადგან ენის გამოყენებას სრულფასოვნად ახერხებენ საჭიროებისამებრ. C1 დონის სახელმძღვანელო შედგება თორმეტი კარისგან:

ახალი ამბები; ბავშვის აღზრდა; ჩვენი დროის ათი მცნება; საამაყო სინამდვილე; ზეზვა და მზია; მთის კურორტები; საქართველოს ტრანსპორტი; ცნობილი ქალები;

ინფორმაციის მიღების საშუალებები / ტელეკომპანიები/სოციალური ქსელები;

ურთიერთობები; ნიჭიერები/პროფესიონალები.

სახელმძღვანელოს ახლავს სამი ტესტი; ყოველი ოთხი კარის შემდეგ მოცემულია ტესტი, რომელიც ამოწმებს შემსწავლელის ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნას კონკრეტული ოთხი თავისა. ტესტებს ახლავს პასუხები.

ბილიკი C1-ის სახელმძღვანელო ფარავს შემდეგ გრამატიკულ კატეგორიებს:

- **რთული** ქვეწყობილი წინადადება: ქვემდებარული, დამატებითი, განსაზღვრებითი, ადგილის, დროის, ვითარებითი, მიზეზის, მიზნის, პირობა-შედეგის დამოკიდებული წინადადებით;
- **გვარი**: მოქმედებითი, ვნებითი, საშუალო;
- **მწკრივები**: I თურმეობითი, II თურმეობითი, აწმყოს კავშირებითი, მყოფადის კავშირებითი, III კავშირებითი I/II/III/IV ჯგუფის ზმნებთან;
- **ზმნები**: I, II, III, IV - ჯგუფი, აღნიშნულია ტიპების მიხედვით: სიყვარული (8); გახარება (8); მონდომება (8); შეძლება (8); მოწონება (8); გონება (7); ყოლა (7); ქონა (7). გაბეგრება (2); გაკვირვება (2); განცხადება (2); სწავლება (2); შეფასება (2); დაფასება (2); შეფერხება (2); მინიჭება (2); დაკანონება (2); დამტკიცება (2); წესი (2); ჯარიმა (2); ჯილდო (2). შედგენა (9); მიკუთვნება (12); დახმარება (12); ქცევა (11); იმედოვნება (2); მოქმედება (2); ქება (2); დახასიათება (2) რჩევა (6); გაცემა (6); მოთხოვნა (6); სმა (3); განახლება (4). კამათი (1); ჯობნა (1); მორჩილება (2); შედგენა (9); დაჯერება (2); დაარსება (2); დატრიალება (2); გადაჭარბება (2); ამოძრავება (2); გამწვანება (2); ამალღება (2); დაღუპვა (4); გამოკვლევა (6); გამრავლება (2); დაბრალება (2); სახელება (2); ცოცვა (4); აღნიშვნა (4); ზმუილი (5); წარმო/დადგენა (6); დანგრევა (6); გადაყოლა (9); გაძრომა (9); შე/დავარდნა(9); მიხვედრა (9); აღმოჩენა (10); გაოცება (10); გაკვირვება (10); დალოდება (12); შეგუება (12); დამუქრება (12); დალაპარაკება (12); ჩახუტება (12); მიძღვნა (12) მიმდინარეობს (1); ვარაუდი (1); შეკავშირება (2); შეთანხმება (2); გახალისება (2); აღიარება (2); დასახელება (2); დამთავრება (2); გაზიარება (2); შედგენა (9); მი/დაახლოება (10); გახსნა (11); შეგებება (12); მოფერება (12). ხელმძღვანელობა (1); ფლობა (1); წარმოება (2); გახსენება (2); დაკარგვა (4); ცეკვა (4); გაზრდა (5); დავარცხნა (5); ხდომა (9); გამართვა (11); მყოფება (11/14); დამატება (12). მიმდინარეობა (1); ბატონობა (1); გულშემატკივრობა (1); ღალატი (2); პატრონობა (1); გაძღება (2); კანკალი (2); ხობვა (4); და/შეზმა (3); ბზუილი (5); შეძენა (6); აღდგენა (6); აღწერა (6); გახდომა (9). ქონება (7); ყოლა (7); მოწონება (7); წყურვილი (7); შიმშილი (7); ნდომება (8); სიყვარული (8); გახარება (8); სიცილი (12); ტირილი (12) მონატრება (12); დასიზმრება (12); მიხუტება/ჩახუტება(12); მოფერება(12); მოჩვენება (12); ჩხუბი (12); შეზიზღება (12); შეთანხმება (12); შეშლა (12); მოლაპარაკება (12); შეხება (12); შიში (13); გახარება (13);

არჩევა (13). ხელშეწყობა (1); დამსახურება (2); დამკვიდრება (2/10); ჩამოყალიბება (2/10); გამოქვეყნება (2/10); დამალვა (4/11); ბეჭდვა (4/11); თარგმნა (5/11); მიწოდება (5); დაჭერა (6);

- **შედგენილი შემასმენელი:** შენი ნებაა/ნება შენია, მომხრეა, თანახმაა, წინააღმდეგია, აღიარებულია, აკრძალულია, გათხოვილია, შესრულებულია, დაბადებულია, დაკრძალულია, გარდაცვლილია;
- **ნართანინი მრავლობითი:** ნი/-თა/-ნო;
- **უარყოფითი ნაცვალსახელი:** არასდროს/ვერასდროს/ნურასდროს;
- **ზმნიზედა:** ზოგჯერ; ხშირად; იშვიათად, ყველგან/ყოველგან; სხვაგან; ძირს; სადღაც; ერთგან; ბევრგან, გარშემო; ხოლმე; ყოველთვის, დიდხანს, დილაობით, საღამოობით/ზამთრობით თვეობით, წლობით, ჯერჯერობით, თვეობით, დღესდღეობით... ოდნავ, სრულიად, მთლიანად, მეტად, მეტისმეტად, ნახევრად, ერთიორად, სამადმაშინ; ამნაირად ამდენჯერ/იმდენჯერ, ორგზის, ასჯერ, წლობით, ნაჭერ-ნაჭერ, ქუჩა-ქუჩა, სოფელ-სოფელ, კარდაკარ, ფეხდაფეხ, ცხენდაცხენ, რადგანაც, რატომაც;
- **უარყოფითი ზმნიზედა:** არსად/ვერსად/ნურსად/არასდროს/ვერასდროს/ნურასდროს;
- **თანდებული:** -ურთ/-ითურთ, -ის გამო/ გულისთვის/ -ისთანავე/მისვლისთანავე/ ნაცვლად/მაგივრად/გარდა ამისა/მიუხედავად ამისა;
- **კავშირი:** ანუ, ვინც, რაც, ესე იგი, რომელიც/რომლებიც, ისეთი-როგორიც/ასეთი, როგორიც/ იმდენი, რამდენიც- ამდენი, რამდენიც, როცა, როდესაც, ხოლო, როდესაც...მაშინ, თუ არა, ან – ან კიდევ, ხან – ხან, ხან – ხან(აც), ხან – ხან კიდევ, გინდ – გინდ, თუნდ – თუნდ. როგორც - ისე, კიდევ... კიდევ, ამიტომ. რადგან, ვინაიდან, რაკი, ამიტომ, იმიტომ, თუ, რომ, თუკი, როცა, როდესაც, თუმცა, თუნდაც, რაგინდ, თუგინდ, - მაინც;
- **ნაწილაკი:** ხომ, ხომ არ, ხოლმე, ნეტა, ნეტავ, განა, ნუთუ, თურმე, სადაც, საითაც, საიდანაც, საითკენაც, თითქმის, ლამის, კინაღამ, როგორ არა, ვაითუ, მართლა, ნუთუ, -ღა/ორიღა, -ოდე/ორიოდე; კიდევ, მაინც, უკვე; აკი, აკი არ, დაე, კი არ;
- **ნაწილაკი კავშირის ფუნქციით:** აღარც... აღარც, ვეღარც... ვეღარც... ნურც...ნურც, ამის გამო, იმის გამო, თუ მხოლოდ/მარტო...მაშინ;
- **სხვათა სიტყვის ნაწილაკები:** -მეთქი, -თქო, ო;
- **შორისდებული:** უიმე;
- **მოდალური ფორმა:** უნდა/გინდ/შეიძლება/შეგიძლია/იქნებ/ვაითუ/ვეჭვობ/ვშიშობ.

ამგვარად, C1 დონის უცხო ენის შესწავლისას ჩვენ მიმოვიხილეთ ევროპული ჩარჩოს (CEFR), „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობისა“ და ენის ფლობის მიხედვით; ასევე, წარმოგიდგინეთ სერია „ბილიკის“ C1 დონის შედგენილობას, რომელსაც შემსწავლელი ამ დონეზე გაჰყავს. ჩვენი გამოცდილება დადასტურებულია ევროპასა და აშშ დიპლომატიურ ცენტრებში შემსწავლელის მიერ მითითებულ დონეზე წარმატებით ჩაბარებული გამოცდებით.

ლიტერატურა:

ბრძანება 46/ნ (2019 წ. 6 მარტი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართული ენის სამმართველო: <http://www.geofl.ge/lego/doneebiLevel.php?parent=56>

ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №394-ე დადგენილება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0>

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, A1. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეექვსე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2025 (2022, 2019, 2014, 2012, 2006).

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე I, A2. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2022 (2019, 2014, 2012, 2006).

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“, დონე AI/A2, „სამუშაო რვეული“, მეორე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2013 (2008).

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე AI/A2, „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. მესამე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2021 (2014, 2007).

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მეხუთე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2023 (2019, 2014.).

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „სამუშაო რვეული“, მესამე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2023 (2017, 2011).

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. პირველი გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2014.

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე III, B2. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მესამე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2015.

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე III, B2. „სამუშაო რვეული“, მესამე გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2011.

შავთვალაძე ნ., – სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე III, B2. „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. პირველი გამოცემა. თბილისი: გამომცემლობა „ფორმა“. 2019.

<https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>

<https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5>

<http://geofl.ge/lego/doneebiLevel.php?parent=56>

<https://dictionary.ge/ka/word/coordinate,+co-ordinate+II/>

[Official translations of the CEFR Global Scale](#)

<https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/table-1-cefr-3.3-common-reference-levels-global-scale>

<https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5>

Requirements and Description for the C1 Level of Teaching Georgian as a Foreign Language

Abstract

Learning a language and its further development is a very challenging process, with the environment playing an important role. The function of learning a language as a foreign language is increasingly important worldwide due to the growing need and desire. By the time a learner reaches the C1 level, they have already overcome many linguistic challenges. They can communicate at a relatively higher level, understand conversations spoken slowly and clearly about everyday matters, though they may occasionally ask the speaker to repeat or explain a word. A learner at this level can fully comprehend a simple text containing factual material on topics of interest. They can engage in conversations about everyday topics and their personal interests, and express their opinions even without prior preparation. If the learner can already take notes while speaking and consistently formulate their own opinions in writing, they are ready to start studying at the C1 level. There is no doubt that mastering a language requires proficiency in all four skills; among these, communication skills are always prioritized in teaching. This is because language is crucial for establishing relationships between people and creating a social environment.

Language levels, as we know, are determined according to the Common European Framework of Reference for Languages (CEFR). The question arises whether there is a uniform relationship at this studied level and, if not, what the differences are. Of course, things are easier when discussing languages derived from Latin; while the construction is not identical, it is similar. The situation is entirely different for Slavic languages and languages included in the Iberian-Caucasian language group.

According to the Common European Framework of Reference for Languages (CEFR), the C1 level is a highly significant stage of language proficiency. A learner at this level is confident in their knowledge of the language, understands a great deal, establishes communication, solves problems, builds connections, and listens to television and radio. However, they are also fully aware that they still have a long way to go to perfect the language and grasp its nuances in detail.

Students at this level are extremely rare in our educational center. If we find one or two learners, we consider it a great success and take great pleasure in it. Naturally, as educators and curriculum developers, we are also eager to gain experience teaching at this advanced level. It is essential that students at C1 meet the officially recognized requirements of this proficiency level.

C1 is a threshold level of advanced language development. At this stage, a learner can confidently: establish communication; engage in natural, effortless conversation; fully comprehend everything spoken in the literary language, even if street noise or other external factors interfere; understand television programs and films without excessive effort; read and analyze long and complex factual and literary texts; assess and distinguish different styles of speech; and comprehend specialized articles and detailed technical instructions, even when they are not directly related to their field.

Of course, all four language skills—listening, speaking, reading, and writing—must be fully developed. When listening, the learner should be able to understand spoken language that adheres to the norms of Georgian literary speech. They should express themselves fluently and

spontaneously, without noticeably searching for words. Additionally, they should be able to use the language flexibly and effectively in both social and professional settings.

In terms of writing, learners should be able to express themselves clearly, in a well-structured, detailed manner. They should be capable of selecting an appropriate style for different contexts and discussing complex issues in written form, whether in an essay or a report.

Key words: Georgian as a Foreign Language, Teaching Georgian as a Foreign Language